

# სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №208

2014 წლის 30 დეკემბერი

ქ. თბილისი

## „ასაფრენ-დასაფრენი ზოლის უსაფრთხოების ჯგუფის სახელმძღვანელო წესების“ დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საჰაერო კოდექსის მე-8<sup>2</sup> მუხლის და მე-9 მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის, ICAO-ს ოფიციალური გამოცემის Doc-9870 მოთხოვნების შესაბამისად, ვბრძანებ

### მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული „ასაფრენ-დასაფრენი ზოლის უსაფრთხოების ჯგუფის სახელმძღვანელო წესები“.

### მუხლი 2

1. ბრძანების ამოქმედებიდან 60 დღის ვადაში, ასაფრენ-დასაფრენი ზოლის უსაფრთხოების ჯგუფების შექმნის ორგანიზება დაევალოთ იმ აეროდრომების ექსპლუატანტებს, საიდანაც ხორციელდება საერთაშორისო გადაყვანა-გადაზიდვა.

2. დაევალოთ საქართველოში რეგისტრირებულ საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტებს, რომლებიც ახორციელებენ რეგულარულ კომერციულ საერთაშორისო გადაყვანა-გადაზიდვებს და სააერონავიაციო მომსახურების საწარმოს, ბრძანების ამოქმედებიდან 30 დღის ვადაში, აეროდრომების ექსპლუატანტებს წარუდგინონ კანდიდატურები ასაფრენ-დასაფრენი ზოლის უსაფრთხოების ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

### მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს 2015 წლის 1 თებერვლიდან.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის  
სააგენტოს დირექტორი

გურამ ჯალაღონია

## ასაფრენ-დასაფრენი ზოლის უსაფრთხოების ადგილობრივი ჯგუფის სახელმძღვანელო წესები

### მუხლი 1. „წესების“ მიზანი და რეგულირების სფერო

1. წინამდებარე „ასაფრენ-დასაფრენი ზოლის უსაფრთხოების ჯგუფის სახელმძღვანელო წესების“ (შემდგომ - „წესები“) მიზანია ასაფრენ-დასაფრენი ზოლის (ადზ) უსაფრთხოების დონის გაუმჯობესება, ადზ-ს უსაფრთხოების ადგილობრივი ჯგუფის შექმნის და ჯგუფისათვის სამუშაო წესების დადგენის გზით.

2. წინამდებარე „წესები“ ვრცელდება:

ა) საქართველოში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტზე, რომელიც საქართველოს საერთაშორისო აეროპორტში ახორციელებს რეგულარულ კომერციულ გადაყვანა-გადაზიდვებს;

ბ) სააერონავიაციო მომსახურების საწარმოზე;

გ) საქართველოს იმ აეროდრომის ექსპლუატანტზე, საიდანაც ხორციელდება საერთაშორისო გადაყვანა-გადაზიდვა.

სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 23 ივლისის ბრძანება №125 - ვებგვერდი, 31.07.2020წ.

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

„წესებში“ გამოყენებულ ტერმინებს, ამ „წესების“ მიზნებისათვის, აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ასაფრენ-დასაფრენი ზოლზე არასანქცირებული შესვლა - ნებისმიერი საავიაციო მოვლენა



აეროდრომზე, რომელიც დაკავშირებულია საჰაერო ხომალდის (სხ),სატრანსპორტო საშუალების ან ფიზიკური პირის არამართებულ ყოფნასთან იმ დაცულ არეში, რომელიც განკუთვნილია სხ-ის აფრენისა და დაფრენის განსახორციელებლად.

**ბ) ასაფრენ-დასაფრენი ზოლიდან გადასვლა** - ნებისმიერი საავიაციო მოვლენა აეროდრომზე, რომელიც უკავშირდება სხ-ის მიერ დაფრენისთვის განკუთვნილი ზედაპირიდან გადასვლას ან აფრენას არასწორ/უნებართვო პოზიციაში, როგორცაა მიმართულებიდან გადახვევა, ასაფრენ-დასაფრენი ზოლიდან გადასვლა, არადანიშნულების სამიმოსვლო ბილიკზე მოხვევა, ზღურბლამდე დაშვება.

**გ) დაცული არე** - აეროდრომის ექსპლუატანტის მიერ ასაფრენ-დასაფრენი ზოლის დასაცავად განსაზღვრული ზონა, რომელშიც დაუშვებელია ნებისმიერი საჰაერო ხომალდის (სხ), ავტომანქანის ან საავიაციო პერსონალის არამართებულ ყოფნა, აღნიშნული ზონის პარამეტრები დამოკიდებულია აეროდრომის კოდზე და მის აღჭურვილობაზე.

**დ) ადზ-ის უსაფრთხოების გეგმა** – ჯგუფის მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რომელშიც აისახება ჯგუფის მიერ დაგეგმილი ქმედებები, რეკომენდაციები, რისკების შემცირების ღონისძიებები, მათი დანერგვისა და შესრულების სავარაუდო თარიღები და პასუხისმგებელი პირები.

**ე) ადზ-ის უსაფრთხოების პროგრამა** – დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ღონისძიებებისა და წესების ერთობლიობა, რაც მიმართულია კონკრეტულ ადზ-ზე უსაფრთხოების ღონის გასაუმჯობესებლად და ეფუძნება რისკების იდენტიფიცირებისა და მართვის პრინციპებს.

*სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 23 ივლისის ბრძანება №125 - ვებგვერდი, 31.07.2020წ.*

**მუხლი 3. ადზ-ის უსაფრთხოების ჯგუფის შექმნა და მისი შემადგენლობა**

1. ჯგუფის შექმნა მიზნად ისახავს ადზ-ის უსაფრთხოების გაუმჯობესებას, ჯგუფის მიერ იმ პოტენციური საფრთხეების იდენტიფიცირებას და გამოსასწორებელი ქმედებების შემუშავებას, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ საავიაციო მოვლენა.

2. აეროდრომის ექსპლუატანტი, საიდანაც სრულდება საერთაშორისო გადაყვანა-გადაზიდვა, ვალდებულია, შექმნას ჯგუფი, ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ავიასაწარმოების წარმომადგენლების შემადგენლობით.

3. საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფში მონაწილეობის მიღება შეიძლება ეთხოვოს:

ა) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის „სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ (შემდგომ – სააგენტო);

ბ) სახელმწიფო ავიაციის უწყებებს;

გ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევის ბიუროს;

დ) აეროდრომის მიწისზედა მომსახურების განმახორციელებელ საწარმოს (მათ შორის: საჰაერო ხომალდის შემოყინვის საწინააღმდეგო სითხით დამმუშავებელი, საწვავ-გამმართველი);

ე) ექსპერტებს (მეტეოროლოგი, ორნიტოლოგი და სხვ);

ვ) სხვა აეროპორტის ჯგუფის წევრებს;

ზ) სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომელთა საქმიანობა პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულია ადზ-ზე ფრენების უსაფრთხოებასთან.

4. ჯგუფს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც არის აეროდრომის ექსპლუატანტის უფებამოსილი წარმომადგენელი.

5. ჯგუფის წევრებს გავლილი უნდა ჰქონდეთ უსაფრთხოების მართვის სისტემის სასწავლო კურსი.



**მუხლი 4. ადზ-ს უსაფრთხოების ადგილობრივი ჯგუფის ფუნქციები**

ადზ-ს უსაფრთხოების ადგილობრივი ჯგუფის ფუნქციებია:

- ა) ადზ-ს ექსპლუატაციასთან დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიცირება და ანალიზი;
- ბ) შესაბამისი რისკების განსაზღვრა და პრევენციული ზომების შემუშავება;
- გ) აეროდრომზე პოტენციური საფრთხის შემცველი ადგილების ამსახველი რუკების წარმოება, გავრცელება და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი სახელმძღვანელო დოკუმენტაციის შემუშავება;
- დ) (ამოღებულია - 23.07.2020, №125);
- ე) ადზ-ს უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით ტექნოლოგიური სიახლეების იდენტიფიცირება და დანერგვა;
- ვ) ადზ-ს უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით ჯგუფში წარმოდგენილ საწარმოთა ხელმძღვანელი პირების ინფორმირება და პრევენციულ ღონისძიებებზე რეკომენდაციების გაწევა;
- ზ) პრევენციული ღონისძიებების ეფექტურობის შეფასება და მონიტორინგი;
- თ) ადზ-ს უსაფრთხოების ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების გატარება;
- ი) სამუშაო პროცედურების შესაბამისობის უზრუნველყოფა ეროვნულ მოთხოვნებთან და ICAO-ს სტანდარტებთან და რეკომენდებულ პრაქტიკასთან მიმართებაში;
- კ) ადზ-ს უსაფრთხოების გეგმის შემუშავება, მისი განხორციელების ხელშეწყობა და მონიტორინგი;
- ლ) ადზ-ის უსაფრთხოების წლიური ანგარიშის შედგენა და სააგენტოსთვის წარდგენა
- მ) ადზ-ს უსაფრთხოების პროგრამის შემუშავება;
- ნ) მონაცემთა ბაზის შექმნა და მისი განახლება.

**მუხლი 5. ადზ-ის უსაფრთხოების ადგილობრივი ჯგუფის მუშაობის წესი**

- 1. ჯგუფის სამუშაო შეხვედრები იმართება, სულ მცირე, კვარტალში ერთხელ.
- 2. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია გაიმართოს რიგგარეშე სამუშაო შეხვედრა ადზ-დან საჰაერო ხომლადის გადასვლის/არასანქცირებული შესვლის ან ნებისმიერი ისეთი საავიაციო მოვლენის დადგომისას ან ცვლილების მართვის პროცესის დაგეგმვისას, რომლის პრევენციის მიზნით აუცილებელია ჯგუფის შეხვედრა.
- 3. ჯგუფის შეხვედრებს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც ჯგუფის საქმიანობის წარმართვის და ფუნქციონირების მიზნით, ახორციელებს, სულ მცირე:
  - ა) შეხვედრების დაგეგმვას;
  - ბ) შეხვედრების ხელშეწყობას/წარმართვას;
  - გ) ჩანაწერების წარმოებას;
  - დ) დამსწრე ორგანიზაციებთან კოორდინაციას.
- 4. ჯგუფის დებულების შესაბამისად, უნდა განხორციელდეს ჯგუფის წევრებს შორის პასუხისმგებლობების და მოვალეობების განაწილება.



5. ჯგუფის სამუშაო შეხვედრების მიმდინარეობა და შედეგები ფორმდება ოქმით, რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში, ეგზავნება სააგენტოს.

სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 23 ივლისის ბრძანება №125 - ვებგვერდი, 31.07.2020წ.

## **მუხლი 6. ადზ-ს უსაფრთხოების პროგრამა**

ადზ-ს უსაფრთხოების ადგილობრივმა ჯგუფმა უნდა შეიმუშაოს ადზ-ს უსაფრთხოების პროგრამა, რომელიც არის ღონისძიებებისა და წესების ერთობლიობა და მიმართულია კონკრეტულ ადზ-ზე უსაფრთხოების ღონის გასაუმჯობესებლად და ეფუძნება რისკების იდენტიფიცირებისა და მართვის პრინციპებს. პროგრამა უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

ა) ზოგადი დებულებები.

ა.ა) ადზ-ს უსაფრთხოების ჯგუფის შემადგენლობა;

ა.ბ) ადზ-ს უსაფრთხოების ჯგუფის წევრების შერჩევის პროცესი

ა.გ) ადზ-ს უსაფრთხოების ჯგუფის თავმჯდომარის და წევრების ფუნქციები და პასუხისმგებლობები;

ა.დ) ადზ-ს უსაფრთხოების ჯგუფის შეხვედრების პერიოდულობა;

ა.ე) ადზ-ს უსაფრთხოების ჯგუფის დოკუმენტაცია.

ბ) საფრთხის გამოვლენა.

ბ.ა) უსაფრთხოების მონაცემების შეგროვება;

ბ.ბ) უსაფრთხოების კვლევები;

ბ.გ) უსაფრთხოების აუდიტები/ინსპექტირება;

ბ.დ) მიღებული მონაცემების/ანგარიშების შესწავლა და დამუშავება.

გ) უსაფრთხოების რისკის მართვა.

გ.ა) უსაფრთხოების რისკის შეფასება და შემცირება;

გ.ბ) რეკომენდაციებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება;

დ) ინფორმაციის გავრცელება.

დ.ა) ადზ-ს უსაფრთხოების ჯგუფში გაზიარებული ინფორმაციის დაცვა არამიზნობრივი გამოყენებისა და საჯაროდ გავრცელებისგან;

დ.ბ) ინფორმაციის გავრცელება.

ე) ადზ-ს უსაფრთხოების პროგრამის მუდმივი გაუმჯობესება.

ე.ა) ადზ-ს უსაფრთხოების პროგრამის შესრულების მუდმივი მონიტორინგი.

ე.ბ) ადზ-ს უსაფრთხოების პროგრამის განახლება.

## **მუხლი 7. ადზ-ის უსაფრთხოების გეგმა**

1. ჯგუფი ვალდებულია შეიმუშაოს მინიმუმ ერთწლიანი გეგმა.

2. გეგმა, ადგილობრივი საფრთხეებიდან და საავიაციო მოვლენებიდან გამომდინარე, უნდა მოიცავდეს კონკრეტულ აეროდრომზე ადზ-ის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს, მათ შორის შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს შემდეგი საკითხები:



- ა) სხ-ის დაფრენისას ადზ-ზე არასწორი შეხება;
- ბ) ფრინველებთან შეჯახება;
- გ) სხ-ის მიწაზე მომსახურებისას გამოვლენილი ხარვეზები;
- დ) ასაფრენ-დასაფრენი ზოლიდან გადასვლა;
- ე) ასაფრენ-დასაფრენი ზოლზე არასანქცირებული შესვლა;
- ვ) სხ-ის მიწისზედა ობიექტთან ან სხვა სხ-თან შეჯახება;
- ზ) სხ-ის დაბრკოლებასთან შეჯახება;
- თ) სხ-ს მოძრაობის უნარის დაკარგვა ხმელეთზე;
- ი) ადზ-მდე დაფრენა/დაფრენის წერტილის გადაფრენით დაჯდომა;
- კ) არასათანადო ადზ-ის გამოყენება/ადზ-ის შეშლა;
- ლ) მაღალ სიჩქარეზე შეწყვეტილი აფრენა;
- მ) ველური ბუნებით გამოწვეული შემთხვევა;
- ნ) უცხო სხეულის ნარჩენებისგან (FOD) სხ-ის დაზიანება და სხვა.

3. ჯგუფი ვალდებულია, ყოველწლიურად განახორციელოს ადზ-ის უსაფრთხოების გეგმის განხილვა და საჭიროებისამებრ განახლება.

სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 23 ივლისის ბრძანება №125 - ვებგვერდი, 31.07.2020წ.

### **მუხლი 8. მონაცემთა ბაზა**

1. აეროდრომის ექსპლუატანტი ვალდებულია, გამოვლენილი საფრთხეების, საავიაციო მოვლენების და მაკორექტირებელი ღონისძიებების სათანადოდ აღრიცხვის მიზნით, აწარმოოს მონაცემთა ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ჯგუფის წევრებისთვის.
2. მონაცემთა ბაზის მართვაზე პასუხისმგებელია კონკრეტული აეროდრომის ექსპლუატანტი.

სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 23 ივლისის ბრძანება №125 - ვებგვერდი, 31.07.2020წ.

### **მუხლი 9. (ამოღებულია)**

სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 23 ივლისის ბრძანება №125 - ვებგვერდი, 31.07.2020წ.

